

**სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების
ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია**

მუხლი 1. რეგულირების სფერო

პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია არეგულირებს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხი პროფესიული სტუდენტების (შემდგომში - „სტუდენტი“) ზღვრული რაოდენობის დადგენას, რათა უნივერსიტეტმა მიიღოს სტუდენტთა ის ოპტიმალური რაოდენობა, რომლისთვისაც პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე შეძლებს ხარისხიანი პროფესიული განათლების მიცემას საკუთარი მატერიალური და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით.

მუხლი 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

1. უნივერსიტეტში ხორციელდება ორი სახის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

ა) პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შემუშავებული (საგნობრივი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (მიღევად რეჟიმში);

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული (მოდულური) პროგრამები.

მუხლი 3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხი სტუდენტების ზღვრული რაოდენობის დადგენა

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხი სტუდენტების რაოდენობის დასადგენად პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შემუშავებული (საგნობრივი) პროგრამების შემთხვევაში ძირითადი განმსაზღვრელია ორი გარემოების არსებობა:

ა) სტუდენტზე გათვალისწინებული სასწავლო გარემო (A გარემოში სასწავლო მერხების რაოდენობა);

ბ) საგნის წამკითხველი კვალიფიციური კადრის არსებობა.

2. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული (მოდულური) პროგრამების შემთხვევაში ძირითადი განმსაზღვრელია არა მხოლოდ A სასწავლო გარემო (A სასწავლო გარემოს მოდელი, ეს არის სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, თეორიული

მეცადინეობებისა და ჯგუფური მუშაობისთვის, რომელიც არ საჭიროებს განსაკუთრებულ ტექნიკურ აღჭურვას. A სასწავლო გარემოში განთავსებულია მაგიდები, სკამები, დაფა, კომპიუტერი მასწავლებლისთვის და სადემონსტრაციო საშუალებები), არამედ რამდენ სტუდენტზე არის გათვალისწინებული B (B სასწავლო გარემოს მოდელი არის სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, კომპიუტერული აუდიტორია, სადაც თითოეული პროფესიული სტუდენტი/მსმენელისთვის, ისევე როგორც მასწავლებლისთვის, განთავსებულია კომპიუტერები, ასევე სადემონსტრაციო საშუალებები და დაფა) და C (C სასწავლო გარემოს მოდელი ეს არის სპეციფიკური სასწავლო გარემო შენობაში ან/და ცალკე მდგომი შენობა ან/და გარე სივრცე (მიწის ნაკვეთი, საწყობი, ლაბორატორია, სახელოსნო, ავტოსალონი და სხვ.), რომელიც საჭიროა კონკრეტული მოდულის განსახორციელებლად) სასწავლო გარემოები და ასევე მოდულის წამკითხველი კვალიფიციური კადრების არსებობა:

ა) თუ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული (მოდულური) პროგრამა ითვალისწინებს მხოლოდ A სასწავლო გარემოს, მაშინ პროფესიულ სტუდენტთა მისაღები რაოდენობა განისაზღვრება სასწავლო გარემოში არსებული სტუდენტის სასწავლო მერხების რაოდენობის მიხედვით;

ბ) თუ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული (მოდულური) პროგრამა ითვალისწინებს ორი ძირითადი გარემოების არსებობას A-სასწავლო გარემოსთან ერთად B სასწავლო გარემოსაც, მაშინ ადგილების რაოდენობა იანგარიშება არა მხოლოდ A-ს, არამედ B სასწავლო გარემოში არსებული სტუდენტის სასწავლო ადგილების რაოდენობის მიხედვით;

გ) თუ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული (მოდულური) პროგრამა ითვალისწინებს მხოლოდ A სასწავლო გარემოსთან ერთად C სასწავლო გარემოსაც, მაშინ ადგილების რაოდენობა იანგარიშება არა მხოლოდ A-ს, არამედ C სასწავლო გარემოში არსებული სტუდენტის სასწავლო ადგილების რაოდენობის მიხედვით.

3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხი სტუდენტების ზღვრული რაოდენობის დასადგენად:

ა) პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შემუშავებული (საგნობრივი) პროგრამების შემთხვევაში თუ სასწავლო პროცესი ორ ცვლაშია გადანაწილებული ან ერთი წლის მანძილზე საშემოდგომო და საგაზაფხულო მიღება ერთდროულად ხდება შესაძლებელია სტუდენტთა რაოდენობა გაორმაგდეს;

ბ) ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული (მოდულური) პროგრამების შემთხვევაში თუ სასწავლო პროცესი ორ ცვლაშია გადანაწილებული ან ერთი წლის მანძილზე საშემოდგომო და საგაზაფხულო მიღება ერთდროულად ხდება შესაძლებელია წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ადგილების რაოდენობის გაორმაგება.